ПРОЛЕТАРЕБО, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲕᲘᲠᲐ,

15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1961 Წ.

№ 7 (1643)

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-17 ᲬᲔᲚᲘ

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲚᲔᲚᲝ

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ბაკურიანი "განთქმულია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, სლალომის, სწრაფდაშვების, სარბენი ტრასებით. ახლა იგი მალე ცნობილი გახდება საციგურაოთი და ჰოკეის მოედნებით. სურათზე: ბაკურიანის ახალი საციგურაო „დინამოს" ბაზის ტერიტორიაზე.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ — ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ

თებერვალში, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ქალაქებში დაიწყება ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. 5 გუნდი წინასწარ თამაშების გარეშეა დაშვებული გადამწყვეტ ეტაპში. ესენი არიან: მსოფლიო ჩემპიონი — შვეიცის ნაკრები, ჩემპიონატის ორგანიზატორი, რომელიც წარმოდგენილი იქნება ერთიანი გუნდით, აგრეთვე ბრაზილია, იაპონია და ისლანდია — გამონაკლისს სახით, როგორც გეოგრაფიულად შორსმყოფი ქვეყნები. დანარჩენი 17 გუნდი დაყოფილია 7 ჯგუფად.

პირველ ჯგუფში გამოდიან დანია, ნორვეგია, ფინეთი. დანიის გუნდმა ორჯერ დაამარცხა ფინეთი (26:15 და 34:24) და მოუგო პირველი მატჩი ნორვეგიას — 22:13. **მეორე ჯგუფში** — ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი — ნათამაშებია მხოლოდ ერთი შეხვედრა. ჰოლანდიამ დაამარცხა ლუქსემბურგი — 22:12. **მესამე ჯგუფში** — საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი — ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ფრანგებმა. მათ დაამარცხეს ორჯერ პორტუგალია (16:7 და 10:9). ესპანეთს ერთი მატჩი მოუგეს — 16:9 და ერთი ფრედ დაამთავრეს — 12:12. ესპანელებმა დაძაბულ ბრძოლაში მოუგეს პორტუგალელებს — 18:16.

მეოთხე ჯგუფში გამოდიან ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ხელბურთელები. ჩეხებმა პირველი შეხვედრა მოუგეს პოლონელებს — 24:12. **მეხუთე ჯგუფში** — საბჭოთა კავშირი, რუმინეთი — გათამაშდა პირველი მატჩი, რომელიც მოიგო საბჭოთა კავშირმა — 12:9. **მეექვსე** და **მეშვიდე ჯგუფებში** შეხვედრები დამთავრდა. გამარჯვებულის გამოსავლინებლად აქ საჭირო გახდა ბურთების შეფარდების გამოყენება. გფრ-ში წასვლის უფლება მოიპოვეს შვეიცარიელებმა (მოუგეს ავსტრიას — 14:11 და 12:13) და იუგოსლავებმა (მოუგეს უნგრელებს — 18:14 და 13:15).

ᲐᲨᲨ

ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით დაამთავრა ტურნე საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა. მათ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გამართეს ხუთი საერთაშორისო შეხვედრა და ყველა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს ბურთების შეფარდებით — 38:12. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მატჩი ამერიკის ნაკრებთან. შეხვედრის პირველი პერიოდი მოიგეს ამერიკელებმა — 2:0. მეორე პერიოდში უპირატესობა მთლიანად საბჭოთა სპორტსმენების მხარეს იყო, მათ ამერიკელთა კარში გაიტანეს 5 გოლი და მიიღეს 1. მესამე პერიოდში საბჭოთა გუნდმა კიდევ ერთით გაზარდა ანგარიში და დაამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგე — 6:3.

* * *

ამას წინათ პენსილვანიის შტატის ქალაქ უესტ-ჩესტერში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ტენმოვარჯიშე ქალთა პირველი ამხანაგური შეხვედრა. შეჯიბრება დაიწყო ბჯენითი ხტომებით. პირველი ადგილი დაიკავა ლ. ლატინინამ — 9.7 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მ. ნიკოლაევა, და ს. მურატოვა.

ნაირსიმაღლის ორძელზე ყველას აჯობა ამერიკელმა დ. ფუკსმა — 9.6, ლ. ლატინინამ და თ. ლიუხინამ მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს. დვირზე ვარჯიშში აშკარა იყო საბჭოთა ტანმოვარჯიშეების უპირატესობა. პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს თ. ლიუხინამ და ს. მურატოვამ — 9.7. მესამე ადგილი წილად ხვდა მ. ნიკოლაევას.

ლ. ლატინინა და ამერიკელი მ. გროსფელდი უძლიერესნი აღმოჩნდნენ თავისუფალ ვარჯიშებში. მრავალჭიდის ჯამის მიხედვით ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: ს. მურატოვა, ლ. ლატინინა, თ. ლიუხინა.

გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენებმა დაგროვეს 153,199 ქულა და მოიპოვეს გამარჯვება. ამერიკელთა შედეგია — 149,96 ქულა.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

წარმატებით განაგრძობს ტურნეს საფრანგეთში თბილისის „დინამოს" ქალათბურთელთა კოლექტივი. მორიგი შეხვედრა ჩვენს სპორტსმენებს ჰქონდათ ფინსტერის დეპარტამენტის ქალაქ დუარნენეში ადგილობრივ ნაკრებთან, რომელიც გაძლიერებული იყო სხვა გუნდების წამყვანი მოთამაშეებით. მასპინძლებმა შეხვედრის მხოლოდ პირველ ნახევარში, სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს დინამოელებს (38:23). შესვენების შემდეგ თბილისელ ქალათბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ მოიგეს კიდევ მატჩი — 94:59.

„ბურევესტნიკის" ქალთა გუნდი ამ დღეს შეხვდა ქალაქ ნარბონას ნაკრებს და მოუგო მატჩი ანგარიშით — 58:48.

მეექვსე მატჩი „დინამომ" ჩაატარა ნანტში ქვედა ლუარის დეპარტამენტის ნაკრებთან — „ატლანტიკის" კლუბთან. ამ მატჩში თბილისელი ქალათბურთელები პირველად წააწყდნენ სერიოზულ წინააღმდეგობას მასპინძლების მხრიდან, შეხვედრა მოიგეს ქართველმა სპორტსმენებმა, — 56:52.

ფრანგული გაზეთები კვლავ მაღალ შეფასებას აძლევენ დინამოელთა თამაშს. ასე მაგალითად, პარიზის პოპულარული სპორტული გაზეთი „ეკიპი" წერს, რომ დინამოელები სჯობიან თავიანთ მოწინააღმდეგეებს ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაში. კორესპონდენტის აზრით, ბოლოსდაბოლოს გათამაშდნენ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრები გ. მინაშვილი და ვ. უგრეხელიძე, რომლებმაც „თანამედროვე ქალათბურთის ბრწყინვალე გაკვეთილები ჩაატარეს. პოპულარულია ფრანგ მაყურებელთა შორის ახალგაზრდა ათლეტი ლ. მოსეშვილი, რომლის ტალანტი კარგად ერწყმის ა. კილაძის გამოცდილ და შინაარსიან თამაშს".

პრესა ამავე დროს ხოტბას ასხამს „ატლანტიკის" თამაშს, რომელმაც ნაწილობრივ რეაბილიტაცია უყო ფრანგულ ქალათბურთს, „ჩვენ ამ შეხვედრაში მოგებაზე არც ვფიქრობდით, მაგრამ ის ფაქტი, რომ „ატლანტიკის" ქალათბურთელებმა წააგეს მატჩი მხოლოდ 4 ქულის განსხვავებით — უდაოდ დიდი წარმატებაა".

„ეკიპმა" გამოაქვეყნა აგრეთვე საბჭოთა გუნდის მწვრთნელთან გ. ავალიშვილთან საუბრის ტექსტი. აქ დაწვრილებითაა აღწერილი დინამოელთა წვრთნის მეთოდიკა და მათი სასწავლო მუშაობის პროცესი.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

როგორც ცნობილია, 2-12 მარტს შვეიცარიის ქალაქებში გაიმართება მსოფლიო პირველობის გათამაშება ჰოკეიში. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ამ დღეებში დაამტკიცა გათამაშების კალენდარი:

2 მარტი — სსრკ-აშშ, ფინეთი-ჩეხოსლოვაკია, კანადა-შვეიცა.

4 მარტი — კანადა-გფრ-შვეიცარიის შეხვედრაში გამარჯვებული კოლექტივი, ან სხვაგვარად გუნდი № 7. სსრკ-შვეიცა, ჩეხოსლოვაკია-აშშ, ფინეთი-ნორვეგია-გდრ-ს შეხვედრაში გამარჯვებული, ანუ გუნდი № 8.

5 მარტი — კანადა-აშშ, სსრკ-ფინეთი, ჩეხოსლოვაკია-№ 7, შვეცია-№ 8, **6 მარტს** ჩემპიონატში დასვენების დღეა.

7 მარტი — სსრკ-ჩეხოსლოვაკია, კანადა-№ 8, აშშ-№ 7, შვეცია-ფინეთი.

8 მარტი — აშშ-№ 8, შვეცია-№ 7.

9 მარტი — კანადა-ჩეხოსლოვაკია, სსრკ-№ 8, ფინეთი-№ 7,

10 მარტს ჩემპიონატში დასვენების დღეა.

11 მარტი — კანადა-ფინეთი, სსრკ-№ 7, ჩეხოსლოვაკია № 8, აშშ-შვეცია.

12 მარტი — ჩეხოსლოვაკია-შვეცია, აშშ-ფინეთი, № 8-№ 7, კანადა-სსრკ.

პირველ სამ თამაშს, აგრეთვე 11 მარტის შეხვედრას საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩაატარებს ლოზანაში ღია საციგურაოზე, ხოლო შეხვედრებს ჩეხოსლოვაკიასთან, № 8 გუნდთან და კანადასთან—ევნევის დახურულ საციგურაოზე.

ᲑᲔᲯᲐ ᲛᲐᲠᲑᲮᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ამას წინათ ქ. ჰანოვერში (აშშ, ნიუ-ჯერსის შტატი) გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე მსოფლიო რეკორდსმენმა ჯ. თომასმა სიმაღლეზე ხტომაში დაძლია 217 სმ, რის შემდეგ სცადა გეუმჯობესებინა თავისივე მსოფლიო რეკორდი ხუთული შენობისათვის (219,7 სმ), მაგრამ მისი ცდა მარცხით დამთავრდა. როგორც პრესისა და რადიოს წარმომადგენლებთან საუბარში თომასის მწვრთნელმა ე. ფლენეგენმა განაცხადა: სპორტსმენი შესანიშნავ ფორმაშია, წელს მრავალ შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას და აუცილებლად გაუმჯობესებს მსოფლიო რეკორდს.

ფეხბურთში საქართველოს 1961-62 წლების პირველობის გათამაშების დებულების

პროექტი

საქართველოს სსრ 1961-62 წლების პირველობათა გათამაშება ფეხბურთში მიზნად ისახავს მასობრიობის ზრდას, თამაშის კლასის შემდგომ ამაღლებას, რესპუბლიკაში საუკეთესო გუნდებისა და მოთამაშეთა გამოვლინებას.

1. ხელმძღვანელობა

საქართველოს სსრ 1961-62 წლების პირველობათა გათამაშების ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

✦

2. გათამაშების დრო და ადგილი

შეჯიბრების ჩატარების ვადა 1-ლი ჯგუფის გუნდებისათვის განისაზღვრება გათამაშების კალენდრით დამტკიცებულ ვადებში. დანიშნული დღეების შეცვლა კატეგორიულად აკრძალულია.

თამაშები ჩატარდება რესპუბლიკის იმ ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე, რომელთა გუნდებიც მონაწილეობენ აღნიშნულ გათამაშებაში და აქვთ ფეხბურთის ნორმალური მოედანი. თუ მონაწილე გუნდის მოედანი არ შეესაბამება ფეხბურთის თამაშის წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასეთი გუნდი გათამაშებაში არ დაიშვება.

ქალაქებისა და რაიონების გუნდებისათვის, რომლებიც არ მონაწილეობენ 1-ლ ჯგუფში, გათამაშება ტარდება შემდეგ ვადებში:

შეჯიბრების პირველი ეტაპი, ანუ რაიონებისა და ქალაქების პირველობები ტარდება მარტ-მაისში.

მეორე ეტაპი — ზონალური შეჯიბრება ქალაქებისა და რაიონების პირველობაზე გამარჯვებულ გუნდებს შორის ჩატარდება ივნის-ივლისში.

ფინალური შეჯიბრება — ზონებში გამარჯვებული გუნდებისათვის ჩატარდება აგვისტო-ოქტომბერში.

პირველ ჯგუფში დაიშვებიან

I ქვეჯგუფი. 1. „იმერეთი“ (ქუთაისი), 2. „მეშახტე“ (ტყიბული), 3. „შუქურა“ (ქობულეთი), 4. „სიხარული“ (მახარაძე), 5. სკა (თბილისი), 6. ფიზ. ინსტ. (თბილისი), 7. „განთიადი“ (ბათუმი), 8. „დინამო“ (სოხუმი), 9. „კოლხეთი“ (ხობი), 10. „ბახმარო“ (ჩოხატაური), 11. „მაღაროელი“ (ჭიათურა), 12. „სალხინო“ (გეგეჭკორი), 13. „კოლმეურნე“ (თელავი).

II ქვეჯგუფი. 1. „გურია“ (ლანჩხუთი), 2. „სპარტაკი“ (თბილისი), 3. „მესხეთი“ (ახალციხე), 4. „განთიადი“ (ცხაკაია), 5. „დილა“ (გორი), 6. „სპარტაკი“ (სტალინირი), 7. „ფეიქარი“ (წულუკიძე), 8. „ლოკომოტივი“ (სამტრედია), 9. „კოლხეთი“ (ფოთი), 10. „ისანი“ (თბილისი), 11. „ოდიში“ (ზუგდიდი), 12. „ქიმიკოსი“ (რუსთავი), 13. „რიონი“ (ქუთაისი).

3. შეჯიბრების ჩატარების სისტემა და პირობები

✦

1. საქართველოს სსრ 1961-62 წლების პირველობათა გათამაშება ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის ტარდება შემდეგნაირად:

გათამაშება ტარდება წრიული სისტემით, ორ წრედ.

გუნდები დაყოფილი არიან 2 ქვეჯგუფად.

ქვეჯგუფებში პირველ-მესამე ადგილებზე გამოსული გუნდები შექმნიან ფინალურ ჯგუფს და ითამაშებენ I-VI ადგილების გამოსავლინებლად (ორ წრედ).

თუ ქვეჯგუფებში რამდენიმე გუნდი დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, ფინალურ ჯგუფში მოხვედრისათვის დაინიშნება დამატებითი თამაში ნეიტრალურ მოედანზე.

თუ ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ, დაემატება 30 წუთი. თუ გამარჯვებული არ გამოვლინდა ამჯერადაც, თამაში დაინიშნება მეორე დღეს იმავე მოედანზე.

პირველ ქვეჯგუფში IV-V და მომდევნო ადგილებზე გამოსული გუნდები საბოლოო ადგილების გამოსავლინებლად ხვდებიან მეორე ქვეჯგუფში შესაბამის ადგილებზე გამოსულ გუნდებს ორჯერ—ერთხელ საკუთარ, ხოლო მეორეჯერ მოწინააღმდეგის მოედანზე. გამარჯვებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელიც ორ შეხვედრაში დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას, თუ გუნდებს აღმოაჩნდათ ქულათა თანაბარი რაოდენობა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის გუნდი, რომელსაც ექნება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა, თუ ორივე თამაში დამთავრდა უშედეგოდ, დაინიშნება მესამე თამაში ნეიტრალურ მოედანზე. თუ ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ, დაემატება 30 წუთი. თამაშის ამჯერადაც ფრედ დამთავრების შემთხვევაში შეხვედრა დაინიშნება მეორე დღეს იმავე მოედანზე იმავე მსჯავრით.

თუ გუნდი საბოლოო ადგილების გამოსავლინებელ თამაშზე არ გამოცხადდება, მას ორივე თამაშში ჩაეთვლება წაგება.

თუ ქვეჯგუფებში IV ადგილიდან და ქვევით გუნდებს აღმოაჩნდათ ქულათა თანაბარი რაოდენობა, ადგილები განაწილდება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით. თუ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობაც ერთნაირი იქნება, უპირატესობა ენიჭება იმ გუნდს, რომელსაც გამარჯვება აქვს მოპოვებული აღნიშნულ გუნდთან. თუ აღნიშნული გუნდების შეხვედრა დამთავრებული იყო ფრედ, უპირატესობა ენიჭება იმ გუნდს, რომელსაც მეტი გამარჯვება აქვს მოპოვებული გათამაშებაში.

პირველ ჯგუფში უკანასკნელ 4 ადგილზე გამოსული გუნდები 1962 წელს ტოვებენ პირველ ჯგუფს.

საქართველოს სსრ 1961-62 წლების პირველობათა გათამაშება მეორე და მესამე ჯგუფების გუნდებს შორის წარსული წლებისგან განსხვავებით ტარდება შემდეგნაირად:

I ეტაპი ტარდება ადგილებზე საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში, რომელსაც ატარებენ რაიონებისა და ქალაქების სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოები და ფეხბურთის სექციები.

II ეტაპი. რაიონებისა და ქალაქების შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდები ქმნიან ზონებს, ტერიტორიალური დაყოფის პრინციპის მიხედვით, სადაც გათამაშდება ზონალური პირველობა.

III ეტაპი. ზონებში პირველ ადგილებზე გამოსული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც გაიყოფა ორ ქვეჯგუფად. პირველ ადგილებზე გამოსული გუნდები 1962 წელს გადავლენ პირველ ჯგუფში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1). ფინალურ შეჯიბრებაში ქ. თბილისის პირველობის გათამაშებიდან დაიშვებიან I-III ადგილებზე გამოსული გუნდები.

2). აჭარა და აფხაზეთიდან 2-2 გუნდი.

3). თუ რაიონის ან ქალაქის პირველობაში მონაწილეობდა 20-მდე გუნდი, ზონალურ შეჯიბრებაში დაიშვება ამ ქალაქის ან რაიონის მხოლოდ ერთი გუნდი. თუ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების რაოდენობა აღემატება 30-ს, რაიონს ან ქალაქს უფლება ეძლევა ზონალურ შეჯიბრებაში გამოიყვანოს დამატებით ერთი გუნდი.

2. ქალაქების, რაიონების პირველობა და ფინალური თამაშები ტარდება წრიული სისტემით ორ წრედ. ხოლო ზონალური გათამაშება — ერთ წრედ.

3. გუნდები, რომლებიც ზონებიდან ვერ მოხვდებიან ფინალურ ჯგუფში, შემდგომში გაითამაშებენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარდამავალ ჯილდოებს დამატებითი დებულებით.

შეჯიბრებების მეორე ეტაპში ზონების განაწილება რაიონებსა და ქალაქებს შორის ხდება შემდეგნაირად:

I ზონა—თბილისი, II ზონა—აფხაზეთი, III ზონა—აჭარა, IV ზონა — სამხრეთ ოსეთი.

V ზონა—გურჯაანის, თელავის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, სიღნაღის, ახმეტის რაიონები.

VI ზონა—ბოლნისის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სადგერეჯოს, რუსთავის, მცხეთის, დმანისის რაიონები.

VII ზონა—ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკის რაიონები.

VIII ზონა — ქ. გორი, კასპის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, დუშეთის, თიანეთის რაიონები.

IX ზონა—ლანჩხუთის, მახარაძის, აბაშის, სამტრედიის, წულუკიძის, ჩოხატაურის რაიონები და ქ. ფოთი.

X ზონა — ცხაკაიას, გეგეჭკორის, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონები.

XI ზონა—ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ტყიბულის, წყალტუბოს რაიონები და ქ. ქუთაისი.

XII ზონა—ორჯონიკიძის, ზესტაფონის, საჩხერის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ვანის რაიონები და ქ. ჭიათურა.

✦

4. დისციპლინარული სასჯელი

1. დისციპლინის დარღვევისათვის მოედნიდან გაძევებული მოთამაშე მორიგ თამაშზე არ დაიშვება.

გუნდი ვალდებულია ასეთი მოთამაშის საკითხი განიხილოს საერთო კრებაზე და ორი დღის განმავლობაში თავისი გადაწყვეტილება (კრების ოქმი) გამოუგზავნოს საქ. ფეხბურთის ფედერაციას. გუნდის გადაწყვეტილების გარეშე ფეხბურთის ფედერაცია მოთამაშის საკითხს არ განიხილავს და მას შემდგომ თამაშებზე არ დაუშვებს.

2. დისკვალიფიცირებული ან განუცხადებელი მოთამაშის შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის გუნდს გამარჯვების შემთხვევაში ჩაეთვლება წაგება გატანილი და მიღებული ბურთების გაუქმებით, ხოლო წაგების შემთხვევაში თამაშის შედეგი მტკიცდება. თუ თამაში დამთავრდა ფრედ, გუნდს, რომელმაც დაუშვა ასეთი დარღვევა, ჩაეთვლება წაგება, ხოლო მოწინააღმდეგეს—მოგება. გატანილი და მიღებული ბურთები უქმდება ორივესათვის.

3. ორჯერ მოედნიდან გაძევებულ ფეხბურთელს მიეცემა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე (წლის ბოლომდე).

4. თუ მხარის მიერ ორჯერ გაფრთხილებული მოთამაშე აღნიშნული იქნება ოქმებში, მის საკითხს განიხილავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისია.

5. თუ შეჯიბრების ჩატარების ადგილზე არ იქნა დაცული სათანადო წესრიგი და ამ მიზეზით თამაში ჩაშალა, ადგილობრივ გუნდს ჩაეთვლება წაგება და შემდგომში ასეთ მოდნებზე თამაშები აღარ ჩატარდება.

6. გუნდი, რომელიც დატოვებს მოედანს თამაშის დამთავრებამდე, მოიხსნება გათამაშებიდან და მისი ხელმძღვანელების საკითხი განიხილება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სხდომაზე.

7. გუნდის ყოველ მოთამაშეს მოედანზე მისი განლაგების შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომერი მაისურზე, ხოლო გუნდის თავს — ნიშანი მკლავზე (ნომრის სიმაღლე 25 სმ, სიგანე 12 სმ, ხაზის სიგანე 3 სმ). ნომრის ფერი უნდა განსხვავდებოდეს მაისურის ფერისაგან.

8. გუნდის მწვრთნელს უფლება არა აქვს მიიღოს მონაწილეობა საქართველოს პირველობის გათამაშებაში.

9. შეჯიბრება ტარდება 1959 წელს დამტკიცებული ფეხბურთის თამაშის წესების მიხედვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თამაშის მსვლელობაში ნებადართულია მოედნის ორი მოთამაშისა და ერთი მეკარის შეცვლა.

✦

5. ხარჯები და საერთო პირობები

1. გუნდს უფლება აქვს შეჯიბრების ადგილზე ჩავიდეს თამაშამდე ერთი დღით ადრე და ვალდებულია დაბრუნდეს თამაშის დამთავრების დღესვე.

2. ჩამოსული გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება 15 კაცით, მწვრთნელის (იგივე წარმომადგენლის) ჩათვლით.

3. მიმღები ორგანიზაცია ჩამოსულ გუნდს თავის ხარჯზე უზრუნველყოფს მხოლოდ ბინით.

4. მიმავლინებელი ორგანიზაცია თავის გუნდს უზრუნველყოფს გზის ხარჯებით ორივე მხარეს პლაცკარტიან ვაგონში, დღიურით გზაში არანაკლებ 1 მან. და 50 კაპ. ოდენობით თვითეულზე (ერთი დღე) და კვებით ორი დღე, 2 მან და 50 კაპ. რაოდენობით დღეში თვითეულ მოთამაშეზე.

5. გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია აცნობოს მიმღებ გუნდს დეპეშით ჩასვლის დრო, ხოლო მიმღები ორგანიზაცია ვალდებულია დახვდეს გუნდს, დაბინაოს იგი და გაუწიოს საჭირო დახმარება სამგზავრო ბილეთების შეძენისა და კვების საკითხებში.

6. მიმღები ორგანიზაცია თამაშის დღეს ადგილობრივ გუნდს უზრუნველყოფს ერთი დღის კვებით 2 მან. 50 კაპ. ოდენობით თვითეულზე.

7. მოთამაშეებს თან უნდა ჰქონდეთ პირადი ბარათები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემოწმებული ფოტოსურათით, ურომლისოდაც ისინი თამაშზე არ დაიშვებიან. სასტუმროში ჩაწერისათვის მოთამაშეებს თან უნდა ჰქონდეთ პასპორტები.

8. თამაშები ტარდება დამტკიცებული კალენდრით. მათი გადადება კატეგორიულად დაუშვებელია.

(გაგრძელება მე-3 გვ.)

დამთავრდა თბილისის ჩემპიონაჟი

დამთავრდა თბილისის 1961 წლის ჩემპიონატი, რომელიც ამავე დროს საქართველოს ჩემპიონატისათვის შესარჩევი შეჯიბრებაც იყო. ე. მიქაელიანმა, რომელიც დიდხანს ლიდერობდა შეჯიბრებას, ფინიშზე „ფარ-ხმალი“ დაყარა. პირველი ადგილი და თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატმა ა. ოზვოზჩიკოვმა, რომელმაც 10,5 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით გაუსწრო ე. მიქაელიანს. მესამე ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ბ. გამრეკელი (9,5 ქულა).

საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ი. ჩიქოვანმა (IV ადგილი — 9 ქულით), ოსტატობის კანდიდატმა თ. ლომაიამ და დ. ჯანოევმა (8,5 ქულა თვითეულს), ოსტატობის კანდიდატმა გ. კალატოზიშვილმა და ბ. ეგიაშვილმა (8 ქულა თვითეულს). ამდენივე ქულა აქვს თბილისის გასული წლის ჩემპიონს, ოსტატობის კანდიდატ თ. კიკიანს, მაგრამ კოეფიციენტების ცხრილში უარესი მაჩვენებლების გამო იგი ვერ მოხვდა საქართველოს ჩემპიონატის ფინალში.

დანარჩენი ადგილები დაიკავეს პირველთანრიგოსნებმა მ. თხელიძემ (7,5 ქულა), ს. მეგრელიშვილმა (6,5 ქულა), ა. მეგრელიშვილმა (6 ქულა), ო. ელიოზიშვილმა (5,5 ქულა), თ. ჩიკვაიძემ და ნ. ტურიაშვილმა (5 ქულა თვითეულს) და გ. სტეპანოვმა (4,5 ქულა).

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ჩამოსულნ ვლასთან ერთად ხალხისიო მისდევენ სპორტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სურათზე: კუბელი, მაროკოელი და მავრიტანელი სტუდენტები დილის გამამხნევებელ ვარჯიშს აკეთებენ თოვლზე.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე

საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში დაიწყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის გროსმაისტერ კორჩნოის კარგი სტარტით. მან პირველივე ტურში ორი პაიკი მოუგო გროსმაისტერ ტაიმანოვს და შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას გამოიყენა თავისი უპირატესობა, ამავე დღეს მან დაამარცხა ოსტატი ბორისენკო და შეჯიბრების ლიდერი გახდა.

პირველივე ტურში უაღრესად საინტერესო პარტია გაითამაშეს გროსმაისტერებმა ბრონშტეინმა და გელერმა. ამ პარტიებში მეტოქეებმა მრავალი შეწირვა განახორციელეს, სანამ ბრონშტეინმა არ დათმო ლაზიერი პაიკში და მეტად ეფექტური გამარჯვება მოიპოვა. სამაგიეროდ, მეორე დღეს ბრონშტეინი იძულებული გახდა ყაიმზე შეთანხმებოდა ფურმანს. ორი მეტად მწვავე პარტია გაითამაშა მსოფლიო ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა, რომელიც ახალგაზრდა გროსმაისტერებს სპასკისა და პოლუგაევსკის ეთამაშებოდა. პირველ პარტიაში სმისლოვს უარესი პოზიცია ჰქონდა და თან ათი სვლა უნდა გაეკეთებინა ერთ წუთში. მიუხედავად ამისა, სმისლოვმა მაინც მიაღწია ყაიმს. პოლუგაევსკისთან სმისლოვმა მძლავრი იერიში შექმნა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ შეძლო პოზიციის გაძლიერება და დათანხმდა ყაიმზე. საუცხოო სტილით მოიპოვა პირველი გამარჯვება გროსმაისტერმა ავერბახმა ფურმანთან, ხოლო პოლუგაევსკიმ — შტეინთან.

გუშინ, რკინიგზელთა ცენტრალურ სახლში გაიმართა მესამე ტური.

უძლიერესთა შორის

ბაკურიანი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). აქ დაიწყო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სამთომოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოს, აგრეთვე ცსკა-ს, „დინამოს“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკისა“ და „ლოკომოტივის“ საუკეთესო სპორტსმენები, რომელთა შორის არიან საკავშირო პირველობის ჩემპიონები და პრიზიორები.

პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში ვაჟთა შორის. სტარტზე გამოსული 40 სპორტსმენიდან უძლიერესი აღმოჩნდა არმიელი ვ. ტალიანოვი, რომელმაც აჩვენა დღის საუკეთესო შედეგი — 1.44,0 წ. მას 3,3 წამით ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ა. ფილატოვი. მესამე ადგილი მოიპოვა მოსკოველმა ს. შუსტოვმა — 1.48,4.

ქალების შეჯიბრება მოიგო ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონმა ს. კორზუხინამ (ცსკა)—2.04,0. მომდევნო ადგილები მოიპოვეს ე. კაბინამ — 2.06,8, ნ. ბორისოვამ — 2,23,1 და ლ. გოგოლაძემ—2,23,5.

გუშინ ჩატარდა ვაჟთა სპეციალური სლალომი. ორი ცდის ჯამში უძლიერესი კვლავ ვ. ტალიანოვი იყო —2.08,8, რითაც 5,1 წამით გასწრო მეორე ადგილზე გამოსულ ს. შუსტოვს. მესამეზეა კიროველი ოსტატი ვ. პანოვი — 2.14,9. ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა შორის ორივე სახეობაში საუკეთესო იყო გ. აბრამიშვილი, რომელმაც გიგანტურ სლალომში აჩვენა 2.00,1 და სპეციალურ სლალომში — 2.37,6 წ.

* * *

სურათზე: ლ. გოგოლაძე გიგანტური სლალომის ტრასაზე.

სურათზე: ზონაში გამარჯვებული თბილისის ჭაბუკ ფრენბურთელთა გუნდი. პირველ რიგში მარცხნიდან — ვ. ტიმაკოვი, ვ. ასლანიდი, ე. შაგინიანი, რ. მუგულაშვილი, ფ. კუზნეცოვი, მეორე რიგში — ვ. ბუბლაძე, ვ. შირინკინი, ე. სტეპანოვი, თ. კანდელაკი.

ფეხბურთში საქართველოს 1961-62 წლების გათამაშების დებულების პროექტი

(დასასრული)

6. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების გაფორმება

1. პირველი ჯგუფის განცხადი, ახლად გაფორმებული პირადი ბარათები და მონაწილეთა პასპორტები უნდა წარმოდგენილ იქნას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში არაუგვიანეს 1961 წლის 15 მარტისა. ამ ვადებში პირადი ბარათებისა და პასპორტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში გუნდი თამაშებში არ დაიშვება (ფეხბურთელის პირად ბარათზე ადგილობრივი ორგანიზაციების ბეჭდის დასმა არ არის საჭირო).

2. ზონებში მონაწილე გუნდების განაცხადები და პირადი ბარათები უნდა წარმოდგენილი იქნას ფეხბურთის ფედერაციაში 1961 წლის 20 მაისს.

3. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდის მოთამაშენი უნდა მუდმივად ჩაწერილი იყვნენ იმ ქალაქ და რაიონში, საიდანაც გუნდი ღებულობს მონაწილეობას.

მოთამაშეთა გადაყვანა სხვა გუნდებში ნებადართულია მხოლოდ 15 დეკემბრიდან 1 თებერვლამდე.

დაბალი ჯგუფიდან მაღალ ჯგუფებში მოთამაშის გადაყვანა შეიძლება ადგილობრივი ფეხბურთის სექციის შუამდგომლობით გათამაშების ყველა პერიოდში.

მაღალი ჯგუფიდან დაბალ ჯგუფში მოთამაშეთა გადაყვანა დაუშვებელია.

4. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა რესპუბლიკის პირველობაში მხოლოდ იმ ქალაქებისა და რაიონების გუნდებში, სადაც გადიან სტაციონალურ (დასწრებულ) სწავლებას.

5. განაცხადები უნდა შემოწმებულ იქნას ადგილობრივ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და ფეხბურთის სექციის მიერ.

6. პირველი ჯგუფის გუნდების მოთამაშეებს განაცხადის დამტკიცების შემდეგ ეკრძალებათ იმავე ჯგუფის სხვა გუნდებში გადასვლა სეზონის დამთავრებამდე.

7. ფინალურ თამაშებში მოთამაშეთა განაცხადში შეყვანა აკრძალულია.

8. პირველი ჯგუფის განაცხადში შეიძლება შეყვანილ იქნას 30 ფეხბურთელი.

ქალაქსა და რაიონში გამარჯვებული გუნდი შემდგომ ეტაპში გამოდის იმავე შემადგენლობით.

7. მსაჯები

1. საქართველოს სსრ 1961-62 წლების შეჯიბრება ტარდება საქართველოს მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული მსაჯებით, ხოლო სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებანი — ადგილობრივი მსაჯებით.

2. დანიშნული მსაჯის თამაშზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში თამაშს სჯის ადგილობრივ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და ფეხბურთის სექციის მიერ ბრძანებით დანიშნული მსაჯი.

3. მოთამაშეთა გაფრთხილების ან მოედნიდან გაძევების შემთხვევაში მსაჯი ვალდებულია ოქმში შეიტანოს მოთამაშის დანაშაულის ზუსტი დახასიათება და მოხსენებითი ბარათი წერილობით წარუდგინოს ფეხბურთის ფედერაციას მეორე დღეს.

4. ქალაქებისა და რაიონების მოედნებზე, სადაც ტარდება პირველობის თამაშები, ადგილობრივი სპორტული კავშირებისა და ფეხბურთის სექციათა მიერ ბრძანებით უნდა დანიშნულ იქნან კვალიფიციური დამხმარე მსაჯები.

8. დაჯილდოება

1. გუნდს, რომელიც რესპუბლიკურ გათამაშებაში პირველ ჯგუფში მოიპოვებს პირველ ადგილს, ენიჭება საქართველოს სსრ 1961-62 წლების ჩემპიონის წოდება ფეხბურთში, ჯილდოვდება საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ხარისხის დიპლომით. გუნდის თვითეული მოთამაშე და მწვრთნელი დაჯილდოვდება პირველი ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით.

გუნდები, რომლებიც პირველ ჯგუფში დაიკავებენ მეორე და მესამე ადგილებს, დაჯილდოვდებიან სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით, გუნდის მწვრთნელი და თვითეული მოთამაშე დაჯილდოვდებიან სათანადო დიპლომებით.

2. გუნდები, რომლებიც ზონებში დაიკავებენ პირველ ადგილებს, დაჯილდოვდებიან მეორე ხარისხის დიპლომებით, ხოლო მწვრთნელები — სათანადო დიპლომებით.

3. გუნდები, რომლებიც ფინალური თამაშების ქვეჯგუფებში დაიკავებენ პირველ ადგილებს, დაჯილდოვდებიან პირველი ხარისხის დიპლომებით, ხოლო მოთამაშეები და მწვრთნელები—სათანადო დიპლომებით.

4. დაჯილდოვდებიან გუნდის ის წევრები, რომლებსაც გუნდის შემადგენლობაში ნათამაშები აქვთ თამაშების არანაკლებ 50 პროცენტისა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ბათუმში ჩატარდა ამხანაგური მატჩი ადგილობრივ ბავშვთა სპორტსკოლისა და თბილისის „ნორჩ დინამოელის“ კალათბურთელთა გუნდებს შორის. შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა.

სურათზე: ამხანაგური მატჩის მომენტი.

ფოტო პ. კებებჩიანისა.

სპორტული პრესის ფედერაციაში

ამას წინათ მოსკოვში შედგა საბჭოთა კავშირის სპორტული პრესისა და რადიოს ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა ლ. გორილოვსკის და პ. სობოლევის ცნობები უკრაინის სსრ სპორტული პრესისა და რადიოს ფედერაციის მუშაობის შესახებ, აგრეთვე მ. მირიევის მოხსენება აზერბაიჯანის სპორტული პრესის ფედერაციის მუშაობაზე.

კამათში გამოვიდნენ: ვ. პეტრუსენკო (მოსკოვი), ი. მალარი (ყაზახეთი), გ. აკოფოვი (საქართველო), ა. ერმაკოვი (მოსკოვი), ვ. კაზაკიავიჩუსი (ლიტვა), ნ. ლუბომიროვი (მოსკოვი), გ. ტომაშევსკი (ლენინგრადი), ს. ტოსუნიანი (მოსკოვი), მ. პაველჩენკო (ბელორუსია), ნ. შაგინი (ლენინრადი).

კამათის შემდეგ სხდომამ მოისმინა შ. მელიქ-ფაშაევის ცნობა რადიოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ. ამ საკითხზე გამოვიდნენ აგრეთვე ა. გრიგიალისი (ლიტვა), ხ. მიკინი (ესტონეთი) და ი. პუტეკლისი (ლატვია).

ბ. ბეკნაზარ-იუზბაშევმა და ი. ვანიატმა გააკეთეს ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე XVII ოლიმპიური თამაშების გაშუქების მიმოხილვა.

პილზენის „სპარტაკი“ პირველ ადგილზე

პრაღაში დამთავრდა ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი — „ინტერლიგა“, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და გერმანიის უძლიერესი საკლუბო გუნდები. წარმატებით ჩაატარა ტურნირი პილზენის „სპარტაკმა“, რომელმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგო ვარშავის „ნოვი ტარგს“ — 8:3 და პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ: პარდუბიცეს „ტესლა“ (ჩეხოსლოვაკია), ვაისვასერის „დინამო“ (გდრ), ვარშავის „ლეგია“, ბერლინის „დინამო“ და სხვ.

ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი

ევროპის მორიგი პირველობა ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის, რომელსაც ატარებს უეფა (ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი), ჩატარდება პორტუგალიაში 28 მარტიდან 8 აპრილამდე.

ტურნირში მონაწილეობისათვის თანხმობა განაცხადა 16 სახელმწიფომ.

ლისაბონში ამას წინათ მოეწყო კენჭისყრა ამ გუნდებისადმი. რის შედეგად ჯგუფებს [illegible] ასეთი სახე:

I ჯგუფი: [illegible], ინგლისი, იუგოსლავია.

II ჯგუფი: ბელგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰოლანდია, რუმინეთი.

III ჯგუფი: ავსტრია, თურქეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ესპანეთი.

IV ჯგუფი: უნგრეთი, ლიუქსემბურგი, საფრანგეთი, პოლონეთი.

ჯგუფებში გათამაშება იწარმოებს წრიული სისტემით.

ბრაზილიური ფეხბურთის დიდი დანაკლისი

უცხოეთის გაზეთებში ამას წინათ გამოჩნდა ასეთი სათაური. საქმე ეხება იმას, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონის — ბრაზილიის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ვინსენე უეოლამ დატოვა თავისი ქვეყანა და გადაბარგდა არგენტინაში, სადაც მდიდარმა კლუბმა „ბოკა ხუნიორსმა“ მას საარაკო თანხა შეაძლია, რათა საწვრთნელად ჩაებარებინა ეს გუნდი.

ცნობილია, რომ ვ. ფეოლამ დიდი წელილი შეიტანა ბრაზილიელ ფეხბურთელთა დიდ წარმატებაში განელილ მსოფლიო ჩემპიონატზე. იგი ბოლო დღეებამდე წვრთნიდა ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებ გუნდს.

რედაქტორი ი. უგულავა

ასეკბილი ქარს, ბაკვზოკს, უფოთკს...

გასული წლის ნოემბერში მსოფლიოს მოედო ცნობა იმის შესახებ, რომ ავტორბოლის დროს დაიმსხვრა „ცისფერი ჩიტი II“—ავტომობილიზმის ტექნიკის საოცრება, მანქანა, რომლის აწყობაც მილიონამდე ამერიკელი დოლარი დაჯდა. კატასტროფა მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ ცნობილი მშრალი ტბის ნაპირებზე, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო ავტოდრომად ითვლება. „ცისფერი ჩიტი“ ამოტრიალდა ერთ-ერთ მოსახვევში და რამდენიმე წაში რკინის ჯართად იქცა. ავარიის დროს, მძღოლი სახელგანთქმული გამოცდილი ავტომობილისტი, კონსტრუქტორი დონალდ კემპბელი მანქანიდან ამოვარდა, იგი დაიწვინეს იუტას შტატის ერთ-ერთ საავადმყოფოში. ასეთია მოკლედ ამ სენსაციური კატასტროფის დეტალები, რომელსაც წინ უძღოდა დიდების მანიაკური ფსიხოზი და სიკვდილთან სიშიში თამაში.

13 წლის წინ ინგლისელმა ავტომობილისტმა ჯონ კობმა დაამყარა სისწრაფის აბსოლუტური რეკორდი— 634,261 კილომეტრი საათში. ბევრმა სპორტსმენმა სცადა ამ რეკორდის გაუმჯობესება, მაგრამ ამაოდ. იმსხვრეოდა მანქანები, იღუპებოდნენ ადამიანები, რეკორდი კი მყვიდად განაგრძობდა არსებობას. მშრალი ტბის ფსკერი მაგნიტივით იზიდავდა თავზეხელაღებულ ადამიანებს, რომლებიც ბედის ძებნაში სიცოცხლეს კარგავდნენ.

დონალდ კემპბელი სხვებთან შედარებით უფრო იღბლიანი ადამიანი გამოდგა. მართალია, მან ვერ მოხსნა კობის რეკორდი, მაგრამ რამდენჯერმე სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, ასე იყო ამჯერადაც. თავგადახდილი კემპბელი დიდის გაჭირვებით დასვენეს საოპერაციო მაგიდაზე. მან რამდენიმე დღის შემდეგ მიიღო ჟურნალისტები, რომლებსაც განუცხადა შემდეგი: „რადგან კემპბელი ცოცხალია, რეკორდი უსათუოდ მოკვდებაო“.

გავიდა რამდენიმე კვირა და ცნობილი გახდა, რომ კემპბელი ამზადებს მესამე „ცისფერ ჩიტს“. დაიწყო საბურველების ახალი, უკეთესი ვარიანტის ძებნა, უფრო საიმედო მუხრუჭების კონსტრუირება, მანქანის სიმძლავრემ რაღაც ფანტასტიურ ციფრებს მიაღწია (6000 ცხენისძალას) და ა. შ.

მაგრამ ცნობილი გახდა ისიც, რომ კემპბელმა უარი განაცხადა მანქანის გამოცდაზე. იგი როგორც ჩანს ბოლოსდაბოლოს გონს მოვიდა. ჟურნალისტებმა ამ უარში თავმოპეზრებული ადამიანის შიში დაინახეს. თვითონ კემპბელი კი ამას სხვაგვარად ხსნის: „როგორც ჩანს მე სპორტული იღბალი არ მქონია. მოვძებნი ვინმეს, უფრო ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულს. რეკორდი უნდა მოიხსნას, თუ კი ის ოდესმე ნამდვილად დამყარებულა, რადგან კობი ისეთივე ადამიანი იყო, როგორც მე და ბევრი კიდევ სხვა“.

და აი კემპბელმა დაიწყო ძებნა. დიდი ხნის შემდეგ მისი არჩევანი შეჩერდა ცნობილ ავსტრალიელ ავტომძღოლზე, 1959 და 1960 წლების მსოფლიოს ჩემპიონზე ჯონ ბრებჰემზე. მაგრამ ავსტრალიელი ნორმალური ადამიანი გამოდგა, რომელმაც უარი თქვა ხელსაყრელ ფინანსურ კონტრაქტებზე და ამით ზურგი შეაქცია კემპბელს და მის ავადმყოფურ იდეას.

— მე ვარ სპორტსმენი და არა ჭკუიდან გადამცდარი, ადამიანი, — განუცხადა მან კემპბელს, — ავტორბოლაში მონაწილეობას ვიღებ იმიტომ, რომ იგი მოითხოვს ოსტატობას და დიდ მოხერხებულობას. მშრალი ტბის ნაპირზე კი საჭიროა მხოლოდ სისწრაფე. სიგიჟე და ყოვლად გაუმართლებელი რისკი. ძვირფასო დონალდ, თქვენც გირჩევთ თავი დაანებოთ ამ უაზრო დევნას.

მაგრამ კემპბელი არ არის იოლად დამყოლი ადამიანი. მან ირონიული ბოდიშობა გადაუხადა ბრებჰემს ლირიკისათვის და გაგრძელა ძებნა. როგორც დასავლეთის პრესა აღნიშნავს კემპბელი უკვე თვეზე მეტია, რაც ამაოდ ეძებს საჭირო კანდიდატს. ზოგი მას არ მოსწონს, ზოგს ჭკუაში არ უჯდება კემპბელის უაზრო ოპტიმიზმი. ერთერთმა დასავლეთ გერმანელმა ავტომძღოლმა მას პირდაპირ განუცხადა, რომ იგი ჯერ არ აპირებს სიკვდილს, რადგან ჰყავს მეტად დამჯერი მეუღლე და ორი მშვენიერი ვაჟი.

კემპბელი ბორგავს, კემპბელი ბრაზობს და არ ცხრება, საქმეში ჩაერია მსოფლიოს პრესა, რომლის ნაწილი მხარს უჭერს მას. კემპბელის ენთუზიაზმი არ არის რეკორდისათვის უაზრო დევნა — აცხადებს იგი. მამაც ინგლისელს და მის ზურგს უკან მდგომ ფირმებს სურთ შეამოწმონ ახალი მანქანის ყველა ნაწილი, მათი ვარგისიანობა და პერსპექტივა. მეორე ნაწილის აზრით მშრალი ტბის ფსკერზე რბოლა მანქანის გამოცდას კი არ ნიშნავს, არამედ მაყურებელთათვის სენსაციურ სანახაობას, ფირმებისათვის რეკლამას და სპორტსმენისათვის სიკვდილს.

ნ. ბარიშვილი

16-17 იანვარი

ქართული ჭიდაობა

რესპუბლიკის ფალავნის სახელის მოსაპოვებლად

16 იანვარს, 3. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზში, დასაწყისი 12-19 საათზე, 17 იანვარს სახელმწიფო ცირკის შენობაში, დასაწყისი 12-19 საათზე.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ვეტერანები თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს არჩილ კიკნაძეს მისი დედის

ელენე ესტატეს ასულ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს სპორტის დამსახურებულ ოსტატს არჩილ კიკნაძეს მისი დედის

ელენე ესტატეს ასულ კიკნაძის გარდაცვალების გამო.

გაზეთი გამოდის ხუთშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89 62 პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. უე 05414